GMM

შპს ჯი ემ ემ. , თბილისი, ვ. ანჯაფარიძის ქუჩა №10.ელ. ფოსტა: sgarch.info@gmail.com
GMM LLC. 10 V. Anjaparidze str. Tbilisi, Georgia.e-mail:sgarch.info@gmail.com

18.11.2021წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ინგოროყვას #7–ში მდებარე მშენებარე სასტუმროს დემონტაჟის შესახებ შპს "ცენტრის" მიმართვის საფუძველზე შპს "ჯი ემ ემ"–მა 2016 წელს და 2019წელს შეისწავლა მიმდებარე ნაკვეთზე ინგოროყვას #8–ში და იაშვილის ქ. #4-ში მდებარე უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობის ტექნიკური მდგომარეობა კონსტრუქციული დასკვნის მომზადების და ინგოროყვას #7–ში მდებარე შენობის დემონტაჟის სამუშაოების წარმოებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. დღეისათვის ჩვენს მიერ კვლავ, კიდევ ერთხელ გადამოწმდა აღნიშნული შენობების მდგომარეობა.

სამუშაოს საგანი

ინგოროყვას #7–ში მდებარე შენობის დემონტაჟის გავლენის შესწავლა შენობების (ინგოროყვას #8 და იაშვილის #4) მზიდი კონსტრუქციების მდგრადობაზე. ამ მიზნით განხორციელდა მათი ვიზუალური დათვალიერება.

პ.ინგოროყვას #8-ში მდებარე სამსართულიანი სახლი მანსარდით აგებულია სავარაუდოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. გეგმაში წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა. ზომებით დაახლ. 55.0მX17.0მ. სართულის სიმაღლე 3,5 მ–ია. შენობას არ გააჩნია ანტისეისმური სარტყლები. კონსტრუქციულ საფუძველს მზიდი კედლების სისტებმა წარმოადგენს. კედლების სისქე 70–80 სმ–ია. კედლები ამოყვანილია აგურისაგან, თიხა–კირის ხსნარზე. სართულშუა გადახურვები და სასხვენო გადახურვა ხისაა, სახურავი ხის ნივნივებზე, თუნუქის ბურულით.

დღევანდელი შენობა ძლიერ დაზიანებულია. დაზიანებების ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება, თუმცა, სავარაუდოდ, ინგოროყვას #7–ში გასული საუკუნის 80–ან წლებში მიმდინარე მშენებლობამ გავლენა მოახდინასახლის მდგომარეობაზე. როგორც უბნის მაცხოვრებლების, ასევე იმ პერიოდში მოქმედი არქიტექტორების გამოკითხვით დადგინდა, რომ გათვალისწინებული იყო აღნიშნული შენობის დემონტაჟი. სწორედ ამიტომ ინგოროყვას #7–ში მიმდინარე მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული სიფრთხილე არ გამოუჩენიათ. სახლის გარკვეული ფრაგმენტები კი დემონტირებული იყო. უშუალოდ სადემონტაჟო შენობის მომიჯნავე ფასადის კედელზე ნათლად ჩანს დემონტირებული აგურის კედლების ფრაგმენტები (იხ. ფოტომასალა). მიწისძვრებისა და არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციის

შედეგად სხვადასხვა დროს წარმოქმნილია სხვადასხვა მიმართულების ბზარები. დაზიანებულია ხის სართულშუა გადახურვები და სახურავი. დემონტაჟის პროცესთან უშუალო კავშირში შეიძლება განხილულ იქნეს ფასადზე გაჩენილი ვერტიკალური ბზარი (იხ. თანდართული ფოტომასალა). ვიზუალური დათვალიერებითაც ნათლად ჩანს რომ შენობის აღნიშნული ფასადი გადმოხრილია სადემონტაჟო შენობის მიმართულებით და პრაქტიკულად მას ეყრდნობა. დემონტაჟის პროცესში არსებობს მისი ჩამოშლის მაღალი ალბათობა.

დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II-III ხარისხისაა.

იაშვილის ქ. #4-ში მდებარე სამსართულიანი შენობა მანსარდით აგებულია სავარაუდოდ საუკუნის დასაწყისში. განთავსებულია დახრილ რელიეფზე. შენობა აგურის მზიდი გრძივი და განივი კედლების სისტემას წარმოადგენს. სართულშუა გადახურვები - ხის კოჭებზე, სახურავი ხის ნივნივებზე, შეფიცვრით და თუნუქის ბურულით. სართულის სიმაღლე 4,5მ. სავარაუდოდ, შენობა ორსართულიანი იყო თავდაპირველად და მესამე სართული მოგვიანებით არის დაშენებული. ძირითად შენობას არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი. სარტყელი მხოლოდ მიშენებაზეა მოწყობილი. შენობის კედლებზე შეინიშნება სხვადასხვა მიმართულების ბზარები. არსებული დაზიანებები წარმოქმნილია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა მიწისძვრებითა და არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით. აღნიშნულ შენობაზე არც მომიჯნავედ, ინგოროყვას ქ. #7-ში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში წარმოებული მშენებლობის უარყოფითი ზეგავლენის გამორიცვა არ შეიძლება.

იაშვილის #4-ში მდებარე შენობას არ გააჩნია უშუალო შეხება ინგოროყვას #7-ში მდებარე სადემონტაჟო შენობასთან, ანუ არ ეყრდნობა მას ისე, როგორც ეს ინგოროყვას #8-ში არსებული შენობა, თუმცა სადემონტაჟო შენობას უშუალოდ ემიჯნება და დემონტაჟის დროს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II-III ხარისხისაა.

დასკვნა და რეკომენდაციები

პ. ინგოროყვას #8-ში მდებარე სახლის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის აუცილებელია აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ჩატარება.

დემონტაჟის პროეცესში პ.ინგოროყვას #8–ში მდებარე შენობის ფასადის ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია "ა" ბლოკის ნაწილის შენარჩუნება ო–რ და 7¹–10¹ ღერძებში –10.30, –7.20, –4.10 , –2.10 ნიშნულებზე +3.30 ნიშნულის

სართულშუა გადახურვის ფილის ჩათვლით (იხ. აზომვითი ნახაზები). სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება ინგოროყვას #8-თან უშუალო სიახლოვეში შესაძლებელია მხოლოდ სპეცტექნიკის - ალმასის ბაგირიანი ბეტონის საჭრელი მექანიზმის, ხოლო დანარჩენ ადგილებში მხოლოდ ხელის ინსტრუმენტის (პნევმატური ჩაქუჩი) გამოყენებით. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს კონსტრუქტორის მეთვალყურეობით.

ინგოროყვას #7-ში მდებარე შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მცირე სიმძლავრის მეანიზმებით, რათა დემონტაჟის დროს წარმოქმნილმა ვიბრაციებმა არ გამოიწვიოს #4-ში მდებარე შენობის დეფორმაციების გაზრდა, ხოლო მასთან (იაშვილის #4-თან) უშუალო სიახლოვეში - 8-8, 9-9, ა-ა და დ-დ ღერძებს შორის კონსტრუქციები დაიჭრას ალმასის ბაგირიანი ბეტონის საჭრელი მექანიზმის საშუალებით.

დემონტაჟის ამ ეტაპზე რაიმე სახის ღონისძიების გატარება ინგოროყვას #8-ში და იაშვილის #4-ში მდებარე შენობების გამაგრებისათვის საჭირო არ არის, გარდა ზემოთჩამოთვლილი პირობების მკაცრი დაცვისა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე (ინგოროყვას #7) უკვე ახალი შენობის (ბიზნეს-ცენტრი) პროექტირების პროცესში მომიჯნავე შენობებზე საპროექტო შენობის სავარაუდო ზეგავლენის შეფასების მერე გამოიკვეთება ის ღონისძიებები, რომელთა გატარებაც იქნება აუცილებელი მომიჯნავე შენობის/ების გამაგრების, ან კიდევ უფრო მეტად დაზიანების თავიდან აცილების მიზნით

სამუშაოები განხორციელდეს **СНиП III-4-80* (Техника безопасности в строительстве)** დაცვით.

დირექტორი: / თ. გიორგაძე /

ინჟინერ–კონსტრუქტორი: / კ. კობალაძე /



ფოტოზე კარგად ჩანს ინგოროყვას #8-ზე აგურის დემონტირებული კედლების კვალი



ინგოროყვას #8-ს კედელი გადმოხრილია და ეყრდნობა სადემონტაჟო შენობას



სადემონტაჟო შენობა უშუალოდ ემიჯნება პ. იაშვილის #4-ს, თუმცა არ არის უშუალო შეხებაში



ფოტოზე კარგად ჩანს სადემონტაჟო შენობის რკ.ბ. კონსტრუქციასა და იაშვილის #4-ს შორის არსებული დაშორება


18.11.2021


18.11.2021